წლიწადი მეორე

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!



გაზეთი გამოდის კვირაში ორჯერ მასალები მიიღებს რედაქც. 9—3 საათ. ყოველ დღე. რედაქ. მისამ.: საპიორ. ქ. № 30. მეორე სართული.

ფასი 5000 მანეთი.

ხუთშაბათი, 8 ივნისი 1922 წ.

საქართველოს შეერთებული ბრიგადის პოლიტგანყოფილების ორგანო

№ 53

ქართულ შეერთებულ ბრიგადის პოლიტგანყოფილება აცხადებს, რომ ორშაბათს, 5 ივნისს ტრაღიკულად გარდაიცვალა საქართველოს კომპარტიის წევრი, საინჟენერო ათასეულში პარტიული მომუშავე ამხ.

გიორგი ბიბოს ძე ცხოვრებაშვილი.

გამოსვენება საინჟენერო ათასეულიდან დანიშნულია 8 ივნისს, დილის 10 საათზე.

ორნი არიან, ტოლნი არიან..

„უწმინდესი“ პატრიარქი რუსეთისა ტიხონი.

მორჩილი ამბროსი, სრულიად საქართველოს პატრიარქი. აი ეს ორი შავი ფიგურა, რომლებსაც კონტრ-რევოლიუციის ბანაკში დღეს საპატიო ადგილი უკავიათ. პატრიარქ ტიხონის გარშემო შემოკრებილან მთელი რუსეთის სამღვდელოების შავი, კონტრრევოლიუციონერი ნაწილი.

ეკლესიის ამ თავადებს სურთ საბჭოთა წესწყობილების დანგრევა.

ამ მიზნით ისინი ხელს უწყობდენ დენიკინ-კალედინ-იუდენიჩებს კონტრრევოლიუციონურ გამოსვლებს მუშათა და გლეხთა ხელისუფლების წინააღმდეგ.

დღეს ეს ძლიერი მამები საიქიოს მოციქულნი“ საქმეში დამშეულთა დახმარების წინააღმდეგ გამოდიან, როცა ეს დახმარება ეხება მათ ფუფუნებით ცხოვრებას, როცა მშრომელთა მთავრობა საეკლესიო ქონებას დამშეულთა სასარგებლოდ ხმარობს. მაგრამ მათ შავ განზრახვებს ფრთებს აკვეცს მშრომელთა მთავრობა.

პატრიარქი ტიხონი დღეს დამნაშავის სკამზე ზის, რომელიც მიიღებს შესაფერ სასჯელს „ამ ქვეყნიურ“ ცოდვების მოსანანიებლად.

რუსეთის სამღვდელოებას არ ჩამორჩა ჩვენი სამღვდელოებაც.

„სრულიად საქართველოს პატრიარქი ამბროსის სახით ქართველი სამღვდელოება მენშევიკების „პატრიარქს ნ. ჟორდანიას მხარს უჭერენ და ლოცვა—კურთხევით მიმართავენ გენუას კონფერენციას.

აქ მოვიყვანთ რამდენიმე „მარგალიტებს“ პატრიარქ ამბროსის მოწოდებიდან.

„საქართველოს ხალხმა დაამტკიცა თავისი მაღალ ნიჭიერება, რაც გამოიხატა იმაში, რომ 1917 წელს გამოაცხადა დამოუკიდებლობა სამი წლის შემდეგ კულტუროსანმა ევროპამ (იგულისხმეთ იმპერიალისტური სახელმწიფოები) ჩარიცხა ის თავისუფალ და სუვერენულ სახელმწიფოთა შემადგენლობაში

ცხადია, რომ ამის მოთმენა არ შეეძლო რუსეთს, რომელიც წინად პატარა ერების მჩაგვრელი იყო და შემოიჭრა მის საზღვრებში საოკუპაციო მიზნებით. ეს მოძალადენი ცდილობენ დაუმტკიცონ ყველას, რომ ქართველი ერი დღეს ბედნიერია. მაგრამ ჩვენი სულიერი მამა და ერთათ ერთი ჭეშმარიტი მწყემსი მთავარი რომლის ხელშიდაც თავს იყრის ყველაზე უფრო ნაზი და მტკივნეული ძაფები ამ ხალხისა, ჩვენ ვიცით როგორი ბედნიერია იგი. მის სამღვდელოებას დაუნდობლად სდევნიან. მისი ეკლესია მოკლებულია დღეს ყოველივე თავის უფლებას და სხ. ასეთი ხელზე საგოგმანებელი მარგალიტებით არის სავსე ამ ვაჟბატონის მოწოდება.

ევროპაში გადახვეწილი მენშევიკები ჰორიკანა ათასნაირ პროვოკაციას თხზავენ საბჭოთა საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ რათა მიზანს მიაღწიონ, ევროპის იმპერიალისტური სახელმწიფოები გაალაშქრონ საბჭოთა ფედერაციისა და კერძოდ საბჭოთა საქართველოს წინააღმდეგ.

ამ მიზნით ისინი „ეშმაკსაც“ უმეგობრდებიან, ამ მიზნით მათ მოატყუილეს გონება დაკარგვიეს პატრიარქ ამბროსისაც, რომელმაც შეთხზა ყოვლად უმგზავსო ცილის წამება და საპროვოკაციო მოწოდება.

ქართველი მუშები და გლეხები სათანადო პასუხს გასცემენ პატრიარქის აღმაშფოთებელ და საზიზღარ გამოსვლას და მასთან ერთად სასირცხვო ჯვარზე გააკრავენ ყველა მის ამყოლ-დამყოლებს.

კარგად იცოდეს ეს ყველამ.

სანდრო.

ბურჟუაზიის აშკარა აგენტები...

როგორც წინა ნომერში ვსწერდით მეორე ინტერნაციონალის მიერ გაწვეული თვე ნახევარი გამოცდილი საბოტაჟის შემდეგ როგორც იქნა გაიხსნა 23 მაისს სამ ინტერნაციონალთა აღმასკომიბისაგან გამოყოფილ კომისიის სხდომა, საერთაშორისო მუშათა კონგრესის უახლოეს დროში მოსაწვევ სამზადის მუშაობისათვის.

უმთავრესი მიზანი საერთაშორისო მუშათა კონგრესისა უნდა იყოს მსოფლიო მუშათა კლასის მიერ თავიანთი არსებული პოლიტიკური და ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება და ამავ დროს შეკავშირებული ერთსულოვნობით თავის დაცვა კაპიტალის შემოტევისაგან.

მსოფლიო ბურჟუაზია ეკონომიური კრიზისიდან გამოსასვლელ აუცილებელ პირობათ სთვლის მუშათა ორგანიზაციების უფლებების შეზღუდვას, სამუშაო ქირის შემცირებას, სამუშაო დღის გადიდებას და სხვა. ამის განხორციელებას უკვე შეუდგა პრაქტიკულად. საპასუხოთ მუშათა კლასმა გაფიცვებით უპასუხა. 1921 წლის პირველ ნახევარში სხვა და სხვა სახელმწიფოებში მუშათა გაფიცვების გამო დაიკარგა შემდეგი რიცხვი სამუშაო დღეებისა: 1) ინგლისში—81,2 მილიონი სამუშაო დღე, 2) გერმანიაში—11,6 მილ. ს. დ., 3) ჩრდილო ამერიკის შეერთებულ შტატებში—11,1 მილ. სამუშაო დღე და ასე ამ რიგათ დავარჩენ სახელმწიფოებშიაც.

აღნიშნული უამრავი მილიონები დაკარგული სამუშაო დღეებისა კიდევ უფრო აძლიერებს ეკონომიურ კრიზისს.

თავდადებულმა კლასიურმა ბრძოლამ ინგლისის მუშებისამ გამოიღო 1920 წელს სათანადო ნაყოფი. დაახლოებით 7,7 მილიონ მუშებს მოემატათ სამუშაო ქირა კვირაში **4.497** ათასი გირვანქა სტერლინგი. მაგრამ 1921 წელს ბურჟუაზიამ გადაიბირა თავის მხარეზე მეორე ინტერნაციონალის წარმომადგენელნი, ინგლისის მუშათა კლასის ჯერ კიდევ ხელმძღვანელნი, ჰენდერსონი, მაკდონალდი და სხვანი, რის შემდეგ სურათი ბრძოლის შედეგისა სრულიად შეიცვალა. აღნიშნულ „ლიდერების“ გამცემლური პოლიტიკის შედეგათ ინგლისის 7,1 მილიონ მუშამ 1921 წელს საშუალოდ ყოველ კვირეულათ დაკარგა 6 მილიონი გირვანქა სტერლინგი.

ამგვარივე პოლიტიკას აწარმოებენ ყველა ქვეყნის ბურჟუაზიის აგენტები, მეორე ინტერნაციონალის წარმომადგენელნი

ყველგან, ყოველ ქვეყანაში ბურჟუაზია თავის აგენტების, სოციალ-გამყიდველების, საშუალებით ახდენენ მუშათა კლასის მდგომარეობის გაუარესებას, მის დამონებას.

სწორეთ იმისთვის, რომ მუშათა კლასმა თავი დაიცვას ბურჟუაზიის თავხედურ შემოტევისაგან იყო განზრახული საერთაშორისო მუშათა კონგრესის მოწვევა. ა. წ. 23 მაისს მოწვეულ სამივე ინტერნაციონალთა წარმომადგენლების კომისიის სხდომაზე მეორე ინტერნაციონალის წარმომადგენელმა მაკდონალდმა განაცხადა, რომ ისინი მიმხრეა პრინციპიალურათ მუშათა მთლიანი ფრონტის გამაგრებისა, მაგრამ მესამე კომინტერნი თავის თავზე აღებულ ვალდებულებათ არ ასრულებსო. მესამე კომინტერნის წარმომადგენელმა ამხ. რადეკმა კატეგორიულათ დაუსვა მათ საკითხი: მომხრეა თუ არა ისინი საჩქაროდ მოიწვიონ მსოფლიო მუშათა კონგრესი, რომ იხსნან 10 მილიონი უმუშევარი სიმშილისაგან და ალაგმონ ბურჟუაზიის განუკითხავი ბატონობა. რაც შეეხება ვალდებულებათა შესრულებას მესამე კომინტერმა ესერების პროცესზე დაუშვა 2 და 2 ნახევარი ინტერნაციონალის წარმომადგენლები, ხოლო სამაგიეროთ დანარჩენ ინტერნაციონალება გამოიჩინეს აშკარა საბატაჟი პირველ მაისის გაფიცვებში და მსოფლიო მუშათა კონგრესის სასწრაფოთ მოწვევაშიო. 2 ნახევ. ინტერნაციონალის წარმომადგენელმა ადლერმა განაცხადა, რომ ისინი იზიარებენ მეორე ინტერნაციონალის პოზიციას. ეხე იგი ისინიც მომხრე არიან გააჭიანურონ მუშათა კონგრესის მოწვევა და ამით ხელი შეუწყონ ბურჟუაზიის ბატონობის შედარებით გახანგრძლივებას.

მესამე კომინტერნის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ რადგან მეორე და ორ-ნახევარი ინტერნაციონალი ჯერ არ ფიქრობს მსოფლიო მუშათა კონგრესის მოწვევას და მით აშკარად ასრულებს ბურჟუაზიის საქმეს, ამისათვის მესამე კომინტერნი გამოდის უმოქმედო კომისიისაგან და თვით იწვევს ყვითელ ბელადების გარეშე მუშათა წარმომადგენელთა მსოფლიოს კონგრესის მოწვევას.

მას შემდეგ, რაც მთლიანი მუშათა ფრონტის ლოზუნგი გადავარდა მუშათა მასებში მოხდა ინსტიქტიური შეკავშირებული გამოსვლები ბურჟუაზიის წინააღმდეგ. რომ თვალი გადავავლოთ უკანასკნელ თვეების გაფიცვებს ყველა ინდუსტრიალურ ქვეყნებში, დავინახავთ, რომ ყველგან გამყიდველ „ლიდერების“ სურვილის გარეშე ხდებოდა და ხდება მუშათა მასების ორგანიზაციული გაფიცვები, რომელნიც გრძელდებოდნენ მთელი კვირაობით. ამ ერთსულოვან გაფიცვებით განმტკიცდა ორგანიზაციული კავშირი მასებისა და შემუშავდა რევოლიუციონური უნარი თავიანთი უფლების ბრძოლით დაცვისა.

არსებული მდგომარეობა დაჟინებით მოითხოვს, რომ მუშათა კლასმა შექმნას მტკიცე კავშირი მსოფლიო მაშტაბში და დაიწყოს ჯერ თავდაცვითი და შემდეგ შეტევითი ბრძოლა მსოფლიო ბურჟუაზიის წინააღმდეგ.

მუშათა მასსების სულიერი განწყობილება რევოლიუციონური და გულწრფელად სურსთ ნამდვილი მთლიანი მუშათა ფრონტის შექმნა; მხოლოდ საჭიროა ნამდვილი ხელმძღვანელები, რომელნიც ბრძოლაში არ უღალატებენ. მსოფლიო მუშათა კონგრესის მომწვევ კომისიის დაშლის შემდეგ მოღალატე სოციალისტების მიერ მოტყუებული ყოველი მუშა საბოლოოდ დარწმუნდება მათ ბურჟუაზიის აგენტობაში და მუშათა კლასის ერთად ერთ დამცველ კომუნისტური ინტერნაციონალის ხელმძღვანელობით შეიკრიბებიან მსოფლიო კონგრესზე და შეიმუშავებენ პრაქტიკულ ზომებს ბურჟუაზიის თავდასხმის საწინააღმდეგოთ.

გაუმარჯოს მებრძოლ მუშათა მასსებს და მის ერთგულ ხელმძღვანელს კომუნისტურ ინტერნაციონალს.

ვ. ხ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშის სიმღერა.*)

მაქვს იმედი, გულს არ ვიტეხ.
შევტრფი მნათობს მომავალის,
რომ გვინათებს გზა ეკლიანს,
მომავლისკენ—წინ სავალის.

ჩვენ ვიღვიძებთ, ჩვენ შევიგნეთ—
ქვეყნად მეფობს ბოროტება,—
„დავანგრიოთ მისი კოშკი.“
ეს არს ჩვენი მოწოდება.

ეს მიზანი გულს მიხარებს,
გამიკაჟდა გრძნობა, სული,
მომავლისკენ გზას ვიკაფავ,
მიზანი მაქვს დასახული.

მიტომ ვმღერი მე სიმღერას,
დღეს მოხუცი და ჭაღარა,
მეგობრებო წინ, წინ მედგრად
რაც ვიტანჯეთ ჩვენთვის კმარა.

მიხა ჩოდრიშვილი.

როსტოვი 1911 წ.



საინჟინერო ათასეული.

1922 წ. 28 მაისს შესდგა საქართველოს ცალკე შეერთებული ბრიგადის საინჟინერო ათასეულის საერთო კრება, რომელზედაც მოხსენებით გამოვიდა პოლიტგანყოფილების უფროსი ამხ. ოკუჯავა შემდეგ თემაზე: „გენუის კონფერენცია და მისი შედეგები“, რაზედაც საერთო კრებამ გამოიტანა შემდეგი რეზოლიუცია:

„გენუის კონფერენციის შედეგები ჩვენ თავიდანვე გვქონდა გათვალისწინებული და ამიტომ იყო, რომ მასზე დიდ იმედებს არ ვამყარებდით, მაგრამ რამდენადაც კონფერენციას სარჩულად ედვა მშვიდობიან ურთი-ერთობის დამყარება და ეკონომიური თანამშრომლობა, იმდენად ჩვენს პირდაპირ მოვალეობას შეადგენდა გაგვეგზავნა ჩვენი წარმომადგენლები კონფერენციაზე მონაწილეობის მისაღებად. ჩვენი წარმომადგენლების პირველი სიტყვა იყო მშვიდობიანობის დამყარების მიზნით ჯარების განიარაღება, რაც „დარჩა ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა„; მსოფლიო სამეურნეო ურთი-ერთობის მოწესრიგებაში და ეკონომიურ თანამშრომლობაში საბჭოთა რუსეთი ნაკლებად არ იყო დაინტერესებული და ამიტომ ამ მიზნის მისაღწევად მან საკმარისად დაუთმო მსოფლიო ბურჟუაზიას, მაგრამ მათი გაუმაძღრობა უფრო შორს წავიდა; რომელიც იღებდა რუსეთზე ეკონომიურ ბატონობის სახეს და რომლითაც უნდოდათ მოეხვიათ კისერზე დასახრჩობი თოკი, რაც მათ ჯერ მოახერხეს სისხლიანი ბრძოლების საშუალებით და, რაც ყვენი წარმომადგენლების ცდამ და ბრძოლამ მათი საზიზღარი გეგმები კონფერენციაზე მთლად გაანადგურა.

გენუის კონფერენციას არავითარი ნაყოფი არ მოუტანია მსოფლიოში მშვიდობიანობის და მეურნეობის აღსადგენად, მაგრამ ეს კი ცხადია, რომ ანტანტა, რომელიც ხელმძღვანელობდა ამ კონფერენციას, იგი აქ სამარცხვინოდ დამარცხდა და მასმა დამარცხებამ თან ჩაითრია რუსეთის და ამიერ-კავკასიის ემიგრანტები: მენშევიკები, ესერები, დაშნაკელები, მუსავატელები და სხ.

დღეს საბჭოთა საქართველოს სიამაყით შეუძლია სთქვას, რომ დღიდან საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა დღემდე მშვიდობიანობა და სიწყნარე არც შიგნით და არც გარეთ ერთი წუთითაც არ დარღვეულა და თუ მოინდომებს ვინმე და ეცდება ხელი შეგვიშალოს დღეს დანგრეულ მეურნეობის აღდგენის დროს მუშაობაში, მათ ვეტყვით, რომ ბურჟუაზიულ საქართველოს აღდგენა შეიძლება მხოლოდ მუშათა, გლეხთა და წითელ-არმიელთა გვამებზე.

ჩვენ ქართველი წითელ-არმიელები, როგორც სხვა დარგში, სამხედრო დარგშიაც უსწორდებიან ჩვენს მოძმე რუსეთის მუშებს და გლეხებს და დღეს ჩვენც შეგვიძლია თავდადებული ბრძოლის წარმოება მშრომელთა მასების ხელისუფლების დასაცავად.

საქართველოს მუშების და გლეხების თავდადებული მუშაობით დღეს საქართველოს ჰყავს ისეთი ერთგული და თავდადებული შეიარაღებული ძალა, რომელიც შიშის ზარს დასცემს მუშათა კლასის ყველა მტრებს და საერთოდ მთელ საერთაშორისო კონტ-რევოლიუციას.

ასე იცავს მშრომელი ხალხი ბრძოლით, წამებით და შრომით მოპოვებულ თავისუფლებას და მას ვერავითარი გენუის და ჰააგის კონფერენციები ვერ შეარყევენ.

გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!

გაუმარჯოს საქართველოს წითელ ლაშქარს!

გაუმარჯოს საერთაშორისო მუშურ-გლეხურ რევოლიუციას!

დახმარებაც ამას ჰქვიან!

მეორე ქართულ შეერთებულ საარტილერიო დივიზიონის მეორე და მესამე ბატარეის წითელ არმიელთა და უფროს შემადგენლობათა საერთო კრების მიერ დადგენილ იქნა. დამშეულთა დასახმარებლად თვიური ჯამაგირიდან ათი პროცენტი და ორი დღის ულუფის გადარიცხვა. წითელ არმიელებმა უკვე სისრულეში მოიყვანეს თავიანთი დადგენილება და მარტის თვის ჯამაგირიდან ათი პროცენტი გადაეცა დამშეულთა დამხმარე კომისიას. მაგრამ რა ქნა უფროსთა შემადგენლობამ? რა ქნა და ის რაც გასაკვირველი არ არის, ნათქვამია; „მაძღარ მღვდელს მშიერი დიაკვანიც მაძღარი ეგონაო“, ჩვენ უფროსთა შემადგენლობასაც ფიქრადაც არ მოსვლიათ დამშეულთათვის ჯამაგირიდან პროცენტების გადარიცხვა. რომელიც თვიურათ სამოცდა თხუთმეტ ათასს ღებულობს არ იშურებს და თავისი წვლილს აწვდის დამშეულებს, უფროსთა შემადგენლობა კი როდესაც ათი იმდენს იღებს რასაც წითელ არმიელი მიუხედავად იმისა რომ მან მაგალითი უნდა უჩვენოს არმიელებფიქრათაც არ მოსდით არ დადგენილების შესრულება და არც დამშეულების დახმარებაც ამას ჰქვიან. აი როგორ ეხმარება ჩვენი უფროსთა შემადგენლობა დამშეულებს. ღირსია მადლობისა წითელ არმიელები რომლებიც არ მიბაძავენ მაგალითს უფროსთა შემადგენლობისას და ყოველთვის მზათ არიან დაეხმარონ დამშეულ მუშებს!

ალიკო.

ბიბლიოთეკის საპოლიტგანმანათლებლო მუშაობის შესახებ.

აუცილებლად უნდა მოეღოს ბოლო ბიბლიოთეკებში საპოლიტგანმანათლებლო მუშაობის კუსტარულობას და შემთხვევით მეთოდებს და შეიცვალოს ის მტკიცედ გამომუშავებულ საპოლიტგანმანათლებლო საქმის აუცილებელ მეთოდებით.

საპოლიტგანმანათლებლო მუშაობა უნდა გახდეს საბიბლიოთეკო საქმის სავალდებულო და აუცილებელ ნაწილად. წითელ-არმიელთა ბიბლიოთეკა არ უნდა იდგეს ასეთი მუშაობის გარეშე. მან აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს წითელი არმიელის გაწრთვნაში და პოლიტიკურად მომზადებაში.

აუცილებლად უნდა შეიქნას საპოლიტგანმანათლებლო მუშაობისათვის განსაზღვრული გეგმა, რომელსაც მიზნად ექნება გააღრმაოს წითელ-არმიელში კომუნისტური მსოფლმხედველობა და სისტემატიურად გააფართოვოს მისი ცოდნა.

ექნება რა დამოუკიდებელი მეთოდი, ბიბლიოთეკის საპოლიტგანმანათლებლო მუშაობა შინაარსით, მიმართულებით და ხასიათით მთლიანად უკავშირდება სრულიად წითელი არმიის საპოლიტგანმანათლებლო მუშაობას.

მკითხველის მიზიდვა ბიბლიოთეკაში და წიგნების რეკომენდაცია.

ბიბლიოთეკის პირდაპირ დანიშნულებას შეადგენს: არც ერთი წიგნი არ დარჩეს წაუკითხავი და წითელ-არმიელთა მაქსიმალური რიცხვი უნდა სარგებლობდეს წიგნებით.

ამისათვის ბიბლიოთეკის გამგემ უნდა მიიღოს შემდეგი ზომები: უნდა აცნობოს მკითხველებს წიგნების გამოტანის დრო და გააცნოს მათ ბიბლიოთეკის წიგნთა შემადგენლობა სიის საშუალებით.

ბიბლიოთეკაში მკითხველთა მისაზიდი ხერხი შემდეგია: მოწოდება მკითხველთადმი პლაკატებით, რომლის ტექსტშიაც ნაჩვენები უნდა იყოს ლაკონიურად გამოთქმული ბიბლიოთეკის მნიშვნელობა და მისი პრაქტიკული სარგებლობა.

პლაკატის ტექსტი უნდა შეეფერებოდეს ილიუსტრაციას და უნდა იყოს დასრულებული და მხატვრული (სურათოვანი) მაგ.: 1. წიგნი, ეს ისეთი რამ არის, როგორც კაცი საჯაროთ მოლაპარაკე; 2. ამხანაგო იჩქარე ბიბლიოთეკაში, წიგნი მოწყენილია უშენოთ; 3. ბიბლიოთეკა ღიაა საღამოს 5—10 საათამდის.

ილიუსტრაცია: რიგი წიგნების ყდებისა საინტერესო სათაურებით ყველა განყოფილებიდან.

2. ორგანიზაცია წიგნის დღისა. „წიგნის დღე“ —ეს მისი დღესასწაულია დღესასწაული განათლებისა.

მოიწყობა მთელი გარნიზონის, ან ნაწილის მასშტაბით. ამ დღესასწაულს ერთგვარი კოლექტიური გავლენა აქვს მკითხველებზე—მასიურად ბიბლიოთეკაში მიზიდვის, და მათში წიგნებისადმი წყურვილის გაძლიერების მიზნით.

დღესასწაული მოეწყობა ფართო პროგრამით და შემდეგი შინაარსით:

1) მიტინგი ან დისპუტი თემაზე—„წიგნის როლი და პროლეტარული სახელმწიფო“, „წიგნების მნიშვნელობა რევოლიუციონურ მოძრაობის განვითარებაში“ და სხვა.

2) ლიტერატურული ან პოლიტიკური გასამართლება რომელიმე გმირისა სხვადასხვა ნაწარმოებიდან.

3) რეფერატი, მოხსენება თემებზე: „ქალაქის მრეწველობა“, „ბეჭდვა“, „სხვა და სხვა ქვეყნის ბიბლიოთეკათა ისტორია“.

4) მხატვრული კითხვა.

5) საუბარი.

6) ამავე ტიპის საღამო: ა) სიტყვა ბიბლიოთეკის მნიშვნელობასა და სარგებლობაზე პროლეტარულ-სოციალისტურ წყობილებაში.

ბ) ცოცხალი გაზეთები საბიბლიოთეკო საქმის შინაარსით (წერილები ბიბ. საჭიროებაზე, საბიბლიოთეკო ქრონიკა, განცხადებანი ახალ წიგნებზე, რეცენზიები, სატირიული მოთხრობები, ანგარიშები ბიბლიოთეკის საქმიანობაზე, შენიშვნები და მოთხრობები ბიბლიოთეკის ცხოვრებიდან; ლექსები ბიბლიოთეკაზე, რომელშიაც აიწერება წიგნიდან მიღებული შთაბეჭდილება და სხ.)

გ) ინსცენიროვკა, (განსახიერება) პატარა პიესა, კინემატოგრაფიული სურათი, რომელიც მოგვცემს საბაბს მივიწვიოთ მკითხველი ბიბლიოთეკაში და მივაწოდოთ მოგონებები ამ კითხვებზე.

7. წიგნების შერჩევა. რომ წიგნის დღესასწაულს ფართე და საზეიმო ხასიათი მიეცეს უნდა იქნას მიწვეული ყველა საპოლიტგანმანათლებლო საქმის მომუშავენი.

8) უნდა სწარმოებდეს მუდამ შეთანხმებული მუშაობა ბიბლიოთეკის გამგესა და საპოლიტგანმანათლებლო საქმის მომუშავეთა შორის. (უკანასკნელნი რჩევას აძლევენ წითელ არმიელებს—მიმართონ ბიბლიოთეკას წიგნებისათვის, მიუთითებენ ბიბლიოთეკის სარგებლობაზე; ბიბლიოთეკის გამგე კი შკოლებში, კრებებზე, სხდომებზე და ჯგუფებში კითხულობს წიგნების სიას იმ კითხვებზე, რომლებზედაც მიდის მსჯელობა და მეცადინეობა, შკოლაში, კრებებზე და ჯგუფში მიმდინარე კურსის თანახმად).

გააკრავენ ცნობებს ან სიებს ახალ წიგნების შესახებ იმ ადგილებში, სადაც თავს იყრის წ.-ა. უმეტესობა.

მეთოდი პროპაგანდისა და წასაკითხ წიგნების რჩევისა მდგომარეობს შემდეგში: 1) მოთხრობა-საუბარი, რომელსაც მიზნათ აქვს გააღვიძოს მკითხველში ინტერესი მეცნიერებისადმი, წიგნისა ან რომელიმე მწერლისადმი, სავანის, ისტორიისა და მეცნიერების მიზნებზე მკითხველის უეჭველი გაცნობის საშუალებით.

ასეთი საუბარი ახლოვნებს მსმენელს ცოცხალ განცდაში და მხატვრულ ნაწარმოების სილამაზის დაფასებაში; აჩვევს მას აგრეთვე დაფასებას ამა თუ იმ მწერლისას.

---

*) რედაქციისგან: ეს ლექსი ეკუთვნის მხცოვან რევოლიუციონერს მუშა-ხელოსანს, პროფესიით დურგალს ამხ. მიხა ჩოდრიშვილს. ჩვენს გაზეთში დაიბეჭდება მისი ლექსები დღიურები და რევოლიუციის წარსულზე მოგონებები.

ითელ-არმიელთა მსჯავრი.

ა. წ. 3 ივნისს შემდგარმა საინჟინერო ათასეულის საერთო კრებამ მოისმინა-რა მოხსენება ამხ. ჰ. ხუნდაძისა ესერების პროცესის შესახებ ერთხმად დაადგინა: რუსეთის მუშური რევოლიუციის მიმართ აშკარა მოღალატური მოქმედებისათვის ესერებს უნდა მიეზღოთ უსასტიკესი სასჯელი, ხოლო მათ დამცველებს **2** და **2**-ნახევარი ინტერნაციონალის წარმომადგენლებს შეჩვენება და წყევა-კრულვა მუშათა კლასისა, როგორც მსოფლიო ბურჟუაზიის აგენტებს და მუშათა კლასის ინტერესების გამყიდველებს.

სამკორი ვ. ა—ლი.

ყურადღება უნდა მიექციოს წით.-არმ. დატოვებულ ოჯახს.

სამხედრო სამსახურში გაწვეულის ერთად ერთ მარჩენალის, ოჯახს სახელმწიფოსაგან უნდა ექნეს გაწეული შეძლებისადაგვარათ დახმარება. ადგილობრივი ორგანიზაციები ხშირად არავითარ ყურადღებას არ აქცევენ ჯარში გაწვეულ წითელ არმიელის ოჯახს. მაგალითად ჩემი ოჯახი ღვთის ანაბრათ არის მიტოვებული გორში. მივმართე დახმარებისათვის ადგილობრივ „სობეზს“, მაგრამ მიპასუხა, რომ ცენტრი არაფერს გვიგზავნის და ჩვენ კი არავითარი საშუალება არა გვაქვს. შემდეგ შევიტანე ჩემი ოჯახის დახმარების თხოვნა სამხედრო საზღვაო კომისარიატში. მაგრამ ჯერ არავითარი პასუხი არ არის. საჭიროა მუშათა და გლეხთა მთავრობამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს ჯარში გაწვეულთა ოჯახების მდგომარეობას, რომ წითელ არმიელებმა დამშვიდებით შეისწავლოს სამხედრო საქმე და პირნათლად შეასრულოს თავისი რევოლიუციონური მოვალეობა.

წით.-არმ. მ. ქ—ლი.

ყურადღება უნდა მიექცეს!

საინჟინერო ათასეულის სატელეგრაფო გუნდში ბევრი შეგნებული ამხანაგები იმყოფებიან და ამისათვის ყოველმხრივი მუშაობა ჩინებულად მიმდინარეობს. სავალდებულო მეცადინეობას გარდა ხშირად ღებულობენ მონაწილეობას შაბათობაში და სხვა. რადგანაც სატელეგრაფო ასეული პირნათლად ასრულებს ყოველგვარ დავალებებს ამისათვის თუ რაიმე სამუშევარი გამოჩნდება ათასეულში უთუოდ სატელეგრაფო გუნდი გაახსენდებათ და მიუხედავად მათი მდგომარეობისა (მეცადინეობენ თუ დაღლილნი არიან) უთუოდ მათ დაავალებენ მის შესრულებას. საჭიროა ყოველ კერძო შემთხვევაში ანგარიში გაუწიოს გუნდის მდგომარეობას და იმ დროს როდესაც სხვა გუნდები დასვენებულნი არიან სატელეგრაფო გუნდს დაღლილობის ან მეცადინეობის დროს ზედმეტი შრომით. ნუ ტვირთავენ.

სხვათა შორის იყო შემთხვევა, რომ შაბათობის დროს უფროს შემადგენლობა და ზოგი ჩვენი უფროსი წითელ არმიელები მუშაობაში მონაწილეობას არ ღებულობდენ და თავზე ადგენ სხვა მომუშავე წითელ არმიელებს. ამ მოვლენას უნდა მიექციოს ყურადღება რომ მეორეჯერ არ იყოს პრივილეგიურ მდგომარეობაში ვინმე საერთო მუშაობის დროს.

სამკორი ორაგველიძე.

მასში აღიძვრება სურვილი მოთხრობაში აღნიშნულ კითხვების გამორკვევისა, რის შემდეგ მკითხველი თავის-თავად ინტერესდება ამა თუ იმ ნაწარმოებით, წიგნით.

მოთხრობისათვის საუკეთესო მასალაა მოთხრობითი, ან აღწერის კილოთი დაწერილი ნაწარმოები.

პიესების მოსათხრობად აუცილებლობას შეადგენს პიესის გადამუშავება მოთხრობად ან უნდა იქნას შედგენილი კონსპექტი, რომლის მიხედვითაც უნდა განვითარებულ იქნას კითხვის პროცესი.

2) მხატვრული კითხვა სწარმოებს ნაკლებად ცნობილ და დიდი ღირსების ნაწარმოებიდან რეკომენდაციის მიზნით.

მხატვრული კითხვის დროს საჭიროა: სიტყვების ნათლად გამოთქმა; გამოთქმა უშეცდომოთ ხმის ამაღლებაში; ბუნებრივი ინტონაცია.

უნდა სცდილობდეს მკითხველი გადაეშვას დრამატიზაციაში.

(შემდეგი იქნება).

ი—ნი.

პასუხად ამხ გორდელაძეს.

გაზ. „წითელ-არმიელის“ 51 № ში ამხანაგი გორდელაძე ჩემს მიერ დაუმსახურებულ ცილს მწამებს. მის კრიტიკას ჩემი მუშაობის შესახებ უფრო მეტი ფასი ექნებოდა, რომ იგი არ იყოს გამოწვეული კერძო ინტერესით. ამხანაგი გორდელაძე უკმაყოფილო იყო ჩემით ერთი კამათის გამო, რომელსაც ადგილი ჰქონდა ჩვენს შორის სამოქალაქო ომების და მის გამომწვევ მიზეზთა განმარტების დროს.

რომ ამხ. გორდელაძის მიერ გაზეთისთვის მიწოდებული ცნობები ჩემი მუშაობის შესახებ სიყალბეზედ არი აგებული, ამის დამტკიცება ადვილია. ქართულ შეერთებულ ბრიგადის ლაზარეთში კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა სისტემატიურად სწარმოებს. ესევე ითქმის პირველ დაწყებითი სკოლის მაცადინეობის შესახებ. კვირაში ორჯერ მაინც იკითხება ლექციები სხვა და სხვა თემებზედ ვიწყობთ აგრეთვე ლიტერატურულ გასამართლებლებს, რაც ძლიერ აინტერესებს წითელ არმიელებს. კარგი კი იქნებოდა რომ ამხ. გორდელაძე მოერიდებოდეს უადგილო ცილის წამებას. წყლის ნაყვა რა საკადრისია?

ა. დოლაბერიძე.

დაუდევრობა.

ხუთი თვე იქნება რაც მე-2-რე ქართულ შეერთებულ საარტილერიო დივიზიონის პირველი ბატარეია გაზეთს ვერ ღებულობს და არაფერი ვირა ხდება პოლიტიკურ ცხოვრების ასპარეზზედ. წითელ არმიელებს ძლიერ აღონებს ეს გარემოება.

ვის დავაბრალოთ ასეთი დაუდევრობა?

რა თქმა უნდა ჩვენს დივიზიონს! თუ კი ბრძანებებს და სხვა ქაღალდებს კვირაში სამჯერ გვიგზავნიან, განა გაზეთები ძნელი გამოსაგზავნია?!

დროა ამ დაუდევრობას ბოლო მოეღოს.

სამხკორი: ევ. ყაჭეიშვილი.

სამარცხვინო დეზერტირი.

მიმდინარე თვის 3 ივნისს საინჟინერო ათასეულის სატელეგრაფო ასეულის წითელ არმიელი ამხ. არაქელოვი გაიქცა ნაწილიდან. ამხ. არაქელოვი იყო პარტიული და მასთან ფიც მიღებული. ეს ვაჟბატონი წინადაც იყო გაქცეული ამ ნაწილიდან და სამ ივნისს კვლავ სისრულეში მოიყვანა თავისი სამარცხვინო განზრახვა. ის გაიქცა ხელმეორედ. სატელეგრაფო გუნდის წითელ არმიელები ვუცხადებთ მას ზიზღს და შერცხვენას.

სატელეგრაფო გუნდის
სამკორი ორაგველიძე.

მამასახლისის თავაშვებულება

საინჟინერო ათასეულის სატელეგრაფო ასეულის მამასახლისი სრულიად განუკითხავად მოქმედობს. იმის მაგივრად რომ ნამდვილი ამხანაგური განწყობილება იქონიოს წითელ არმიელებთან პირდაპირ მაფრთხობელა შეიქნა ყველასათვის. იმდენად დაშინებული ჰყავს წითელ არმიელები, რომ ვერც ერთი თვალს ვერ გაუსწორებს იმგვარ გამომეტყველებას დაიკავებს. წითელ არმიელებს მეტად უხეშ სიტყვებით უმასპინძლდება; ზოგიერთ ამხანაგებს თავისუფალ დროს ქალაქში წასვლის ნებას აძლევს და ზოგიერთებს განგებ არასოდეს არ აძლევს უფლებას და ამ მხრით უსამართლობას იდენს. წითელ არმიელს არ შეუძლია მას უთხრას თავისი აზრი რაზედაც არ უნდა იყოს იგი. იმ წუთსვე დაჰქერით დაემუქრება.

ერთი სიტყვით მისმა თვითნებობამ დიდი უკმაყოფილება შექმნა ჩვენს ასეულში და საჭიროა, რომ მის ასეთ საქმიანობას გაეწიოს სათანადო ანგარიში.

დატანჯული წითელ არმიელი.

მადლობის გამოცხადება.

საქართველოს წითელი არმიის გასაძლიერებლათ საქართველოს საბჭ. მთავრობა სასურველად მოქმედობს: სხვათა შორის სახალხო განათლების კომისარიატმაც თავისი მოვალეობა წითელი არმიის წინაშე შეასრულა სასახელოდ. მან მან პოლიტგანყოფილებას უფასოთ დაუთმო ბევრი სასწავლო ნივთები ჯარში დასაგზავნათ და აგრეთვე გაზეთ „წითელ არმიელი“-სათვის, სრულებით უფასოთ მოგვცა 50 ფუთი გაზეთის თეთრი ქაღალდი, რისთვისაც პოლიტ-განყოფილების, პოლიტ-განმანათლებელი ნაწილი დიდ მადლობას უძღვნის ზემო ხსენებულ კომისარიატს-

პოლიტ-განათლების ნაწილის
უფროსი: **გ. გოგოტიშვილი.**

1-ლ ქართულ მსროლელთა ლეგიონში.

ა. წ. 27 მაისს, შაბათს. ჩვენს ლეგიონს ეწვია პოლიტგანყოფილების უფროსი ამხ. ნიკ. ოკუჯავა, რომელმაც ლეგიონის კლუბში გააკეთა მოხსენება „გენუის კონფერენციის შედეგებზე“. მომხსენებელმა მკაფიოდ და ნათლად განმარტა და დაასურათა მთელი ის გარემოება, რომელშიაც გენუის კონფერენციას მოუხდა მუშაობა. იკი შეეხო განიარაღების საკითხს, შემდეგ მენშევიკების ოინებს და მათ ადგილობრივად აქყოლ-დამყოლ ფინიების ყეფის ცდას. შეეხო აგრეთვე შავყვითელ ბლოკსაც ისტორიამ რომ დასცინა მენშევიკებს და შავრაზმელებს ამოუყენა გვერდში.

დასასრულ კრებამ მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც იგი ესალმება საბჭ. მთავრობის გაბედულ ნაბიჯებს, კრულვა-შეჩვენებით იხსენიებს კონტრ-რევოლიუციონერების მოღვაწეობას და ჰფიცავს რომ საქართველოს წითელი არმიის ხიშტი ყველაზე უწინ კლასიური ხასიათისაა და იგი არ დაინდობს არც ერთი ჯურის მტერს.

გ. ივანდიდელი.

† გიორგი გიგოს-ძე ცხოვრებაშვილი.

ამხ. გ. ცხოვრებაშვილი დაიბადა 1895 წ. თბილ. გუბ. გორის მაზრაში. ის იყო ღარიბი გლეხის ოჯახის შვილი. შინ ამუშავებდა მიწას და ეხმარებოდა თავის მოხუცებულ დედ-მამას: როგორც ღარიბი გლეხის შვილი ის ყოველთვის გულწრფელი მოსარჩლე იყო მშრომელი ხალხის ინტერესებისა. ამისათვის იყო, რომ ის 1920 წელს ჩაეწერა კომუნისტურ პარტიაში და ეწეოდა აგიტაციასა და პროპაგანდას მშრომელ გლეხობაში, თავის სამშობლო ოსეთში. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ის მუშაობდა საბჭოთა ადერბაიჯანში; შემდეგ 1921 წლის ივნისიდან ის მუშაობს ქართულ წითელ არმიის საინჟინერო ბატალიონში პოლიტხელმძღვანელად. არჩეული იყო იყო იქვე აგრეთვე მუშათა და გლეხთა ინსპექციის დამხმარე ჯგუფის თავმჯდომარეთ. როგორც გულწრფელი დამცველი მუშური ხელისუფლებისა ის სამაგალითო წითელ-არმიელი იყო ყველა დანარჩენ ამხანაგებისათვის.

უდროოდ გამოეცალა ჩვენს ქართულ წითელ ჯარს ჯერ კიდევ ახალგაზრდა ამხანაგი, მაგრამ მისი თავდადება მუშურ-გლეხურ ხელისუფლების მიმართ და გულწრფელი, პატიოსანი მოპყრობა თავისი მოვალეობისადმი მისაბაძ მაგალითად დარჩება მის ამხანაგებში.

ინტერნაციონალური საღამო.

4 ივნისს საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციამ მუშათა ცენტრალურ კლუბში თავის ფონდის გასაძლიერებლათ გამართა დიდი სეირნობა—საღამო. საღამოს აუარებელი ხალხი მოასკდა, რაც მშვენიერი მლაღადებელია იმისი რომ საქართველოს მშრომელი ხალხი უკვე მომწიფებულია პროლეტარულ შემოქმედების მიღებისათვის და გაგებისთვის. კლუბის ვეებერთელა ბაღი გაჭედილიყო ხალხით. უკრავდა სამხედრო ორკესტრი და იყო სხვა და სხვა გასართობები. 9 საათზე თეატრი გაჭედილიყო ხალხით და ფარდის ახდისას სცენაზე გამოჩნდა ჩვენი ძველი რევოლიუციონერები: ამხ. **ს. ოდრია, რაჟ კალაძე. ხ. ქურიძე** და სხვები. **კოტე ფოცხვერაშვილის** გუნდმა შეასრულა ქართულათ ინტერნაციონალი, რის შემდეგ პროლეტარულ შემოქმედებაზე ქართულათ, რუსულათ და სომხურათ სიტყვები წარმოსთქვეს: **რ. კალაძემ, ვ. ივანტოვმა და ხანუიანმა.** შემდეგ მეორე განყოფილებაში თავისი საკუთარი ლექსები წაიკითხეს ქართველებიდან: **სანდრო ეულმა, იონა ვაკელმა, შინატახელმა, გიგიტო ციმბირელმა. იაკანთე ლისაშვილმა, ს. თალაკილაძემ და პეტრე სამსონიძემ**, რუსებიდან, **დუბენსკიმ, იურინმა, ტანდიტმა** და სხვებმა, სომხებიდან: **აკ. აკოფიანმა და სეროკინმა.** ლექსების წაკითხვის შემდეგ გამოვიდნენ მომღერლები **შარაშიძე, ლისანიანცი** და სხვები.

მესამე განყოფილებაში **კოტე ფოცხვერაშვილის** გუნდმა შეასრულა სხვა და სხვა სიმღერები და გაიმართა ბალეტი.

მეოთხე განყოფილებაში დადგეს **დ. კობახიძის** ახალი რევოლიუციონური პიესა-ინსტენიმოკვდა სანდრო ეულის, იონა ვაკელის და პეტრე სამსონიძის ნაწარმოებებიდან: **„რევოლიუციის ტალღები.“**

ასეთი ახალი ორიგინალური პიესა ჯერ კიდევ ახალი მოვლენაა ქართულ ლიტერატურაში. ეს პიესა სრული ანარეკლია პროლეტარულ შემოქმედებასა და მაყურებელს აძლევს სრულ უტყუარ წარმოდგენას პროლეტარულ პოეზიაზე. **ამ სურათმა დაანახა ხალხს, რომ საქართველოს პროლეტარული მწერლები ამაყათ დგანან თავის შემოქმედების ასპარეზზე და თამამად უჭირავთ ხელში დროშა პროლეტარულ პოეზიისა. ეს სურათი ყველა ფილისტერს. რომლებიც ჯერ კიდევ ალმაცერათ უყურებენ ჩვენს ლიტერატურაში ახლად მოვლინებულ პროლეტარულ მწერლებს, აზრს შეუცვლის და უფრო სერიოზულათ მიახედვიებს იმ ორგანიზაციისკენ, რომელსაც პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია ეწოდება.**

სურათი **დ. კობახიძისვე** რეჟისობით მშვენიერათ იქნა დადგმული, რამაც ხალხში გამოიწვია დაუსრულებელი ტაში და ვაშას ძახილი.

სურათი გათავდა და ფარდის ჩამოხდის შემდეგ საზოგადოებაც დაიშალა ნასიამოვნები. სასურველია პროლეტ. მწერალთა ასოციაცია ასეთი საღამოებს ხშირათ გამართავდეს.

აქვე უნდა აღინიშნოს ერთი სამწუხარო მოვლენა, რომელიც შემდეგში ძირ-ფესვიანად ამოიფხვრას. ზოგიერთ ვაჟბატონების მხრივ სურვილი იყო საღამოს ჩაშლისა, მაგრამ ეს მათ ვერ მოახერხეს.

მათ წინააღმდეგ ასოციაციის პრეზიდიუმმა უკვე მიიღო შესაფერი ზომები.

პანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასოფლო მეურნეობა

ერიდეთ საქონლის ჭირს!

საქონლის ჭირი ხშირი მოვლენაა. მას აურაცხელი ზარალი მოაქვს სოფლის მეურნეობისათვის. ხშირად პატრონის დაუდევრობის ან გაუგებრობის გამო მთელი ჯოგი შინაურ პირუტყვისა მსხვერპლი ხდება ამ საქონლის ჭირისა.

ჭირი ვრცელდება ათასგვარ საშვალებით: საკვებიდან, მიწიდან, წყლიდან, საქონლის მოკაზმულობიდან და სხვა.

თვით ავადმყოფი საქონელი წარმოადგენს ჭირის გამავრცელებელ წყაროს.

ხშირიდ ჭირი გარეგნულად ძნელი შესამჩნევია, ამიტომ დიდი ყურადღება უნდა მიაქციოთ პირუტყვის ჯანმრთელობას. როგორც კი გაიგოთ საქონლის დაავადმყოფება, მაშინვე მიმართეთ პირუტყვის ექიმს. საქონელი არ დაჰკლათ ექიმის შეუმოწმებლად. ჭირისგან მოკლულ საქონლის ლეში მიწაში ღრმად ჩამარხეთ, რომ სნეულება არ გადაადოს ჯანსაღ საქონელს.

სანამდე პირუტყვის ექიმს (ვეთალს) მიმართავდეთ უნდა მიიღოთ შემდეგი ზომები:

ა) ავადმყოფი პირუტყვი უნდა მოაშოროთ ჯანსაღ პირუტყვებს და განაცალკეოთ.

ბ) ავადმყოფი პირუტყვი არ უნდა გაიყვანოთ საერთო წყალსასმელზედ და საძოვარზედ.

გ) ავადმყოფ პირუტყვს წყალი უნდა ასვათ ცალკე ჭურჭელით. მრავალნაირია საქონლის ჭირი და ზოგი მათგანი, როგორც მაგალითად ქოთაო, ციმბირის ჭირი, ჭლექი და სხვა. ყველაზედ უფრო მუსრის გამვლებელია ასეთ შემთხვევაში ექიმის მოწვევა აუცილებელია.

X.



წერილები სამხედრო გეოგრაფიიდან.

(გაგრძელება).

გიდროგრაფია.

ჩვენ წინა წერილშიდაც შევეხეთ ამ საკითხს, მაგრამ, რასაკვირველია, მოკლედ შევეხეთ, ვინაიდან ჩვენ ქუთაისის გუბერნიის საერთო გეოგრაფიულ მიმოხილვაზე გვქონდა მაშინ საუბარი. ეხლა კი გიდროგრაფიის საკითხს ცალკე გამოვყოფთ და უფრო დაწვრილებით შევუდგებით მის შესწავლას.

ვინაიდან ქუთაისის გუბერნია მდიდარია ატმოსფერულ ჩამონალექებით, თავის თავიდან ცხადია, მდინარეებიც ამიტომ ბლომადაა.

ამას ხელს უწყობს აგრეთვე კავკასიონის მთავარ ქედის თოვლის ხაზის სიახლოვე.

ქუთაისის გუბერნიის მდინარეების ზემო და შუა წელს ახასიათებს განსაკუთრებული სიჩქარე, რაც თავის თავად ცხადია ქმნის ერთგვარ წინააღმდეგობასაც გასავლისათვის, ხოლო შესართავთან ისინი ნელა მიმდინარეობენ, ვინაიდან მათ სიჩქარით სვლას ხელს უშლის ზღვის ზვირთები.

ამიტომაცაა შესართავთან მდინარეების წყლები გუბდება და აჩენს ჭაობებს. ასეთი ჭაობებია სოხუმიდან ქობულეთამდე.

ჩვენ რომ სამხედრო თვალსაზრისით შევეხოთ, ქუთაისის გუბერნიის მდინარეები უნდა მივიღოთ როგორც დამაბრკოლებელი მოწინავე სწრაფი მოძრაობისათვის.

გიდროგრაფიის საკითხის გაცნობისთანავე, პირველად ჩვენ შევეხებით მდ. რიონის აუზს, რომელიც ყველაზე მეტი ღირს-შესანიშნავია.

იგი დასაწყისში ორ მდინარით იწყება, როგორიც არის ღების-წყალი და მლოლა-წყალი, რომელსაც სათავე აქვს მთავარ კავკასიონის ქედის ფასის მთიდან.

საერთო სიგრძე რიონისა დაახლოვებით 276 ვერსია. მდინარე რიონის აუზის სივრცე კი იქნება 11,755 კვადრატიული ვერსი.

რიონის სიღრმე ქ. ქუთაისის ქვემოდ 3—21 ფუტამდე.

მოგეხსენებათ, რომ ქალ. ფოთთან რიონი ერთვის შავ ზღვას. სოფელ ორპირს ქვევით რიონის ნაპირები დაბალია, ამიტომ იგი ხშირად გადმოდის ნაპირებზე და აჩენს ჭაობებს.

მდინარე რიონზე არის ხიდეები და ფეარებელი ბორანები სათავიდან რომ დავიწყოთ შემდეგ ადგილებში:

სოფელ ტევრეშთან, სოფ. ღებთან, მე-128 ვერსზე ოსეთის სამხედრო გზაზე, სოფელ უწერასთან და სოფელ ნაკიეთთან.

ქ. ონთან, სოფ. კვაცხუთთან, სოფ. ბუგეულთან, სოფ. ქოშხასთან, ს. ჭყვიშთან და სადგ. მექვენასთან.

ქ. ქუთაისში სამი ხიდია.

სადგ. რიონთან რკინის გზის ხიდი, სოფელ ვარციხესთან და მდ. კორის-წყლის შესართავთან.

სოფელ ციხე სულორთან ბორანი, ს. ბაშთან—ბორანი, მდინ. ვუბის-წყლის შესართავთან—ბორანი.

ორპირთან—ბორანი—ოზურგეთის გზისთვის

ს. ესკალთან—ბორანი, გულიკართან—ორი ბორანი.

სოფ. კოდორთან—ბორანი, სადგურ ჭალადიდის პირდაპირ ბორანი.

ქ. ფოთში: შესართავთან ორი ხიდი სხვა ადგილებზედაც არის ხიდეები და ბორნები, რომელიც ჩვენ აქ არ მოგვიხსენებია.

მდინარე რიონის სამხედრო მნიშვნელობა.

ჩვენ რომ გავეცნოთ მდ. რიონის მნიშვნელობას სამხედრო თვალსაზრისით, ამის შესახებ შეგვიძლია ვსთქვათ შემდეგი:

1. ქალ. ფოთიდან დაწყებული მდ. გუბის წყლამდე, რიონს შეუძლია კომუნიკაციონური ხაზის სამსახურის გაწევა იმ ჯარებისათვის, რომელიც მოქმედობს ქ. ფოთის მიდამოებში.

2. ამავე რაიონში, მდ. რიონს კომუნიკაციონური ხაზით სამსახურის გაწევა შეუძლია მტრის ჯარისათვისაც.

3. ფოთიდან დაწყებული სოფელ ამაღლებამდე მდ. რიონს შეუძლია სერიოზული დაბრკოლება გაუწიოს ჯარის გასვლა-გამოსვლას, როგორც ჩვენს ჯარს, ისე მტრისას, მაგრამ მას შეუძლია აგრეთვე ერთ-ერთი ფლანგის საუცხოვოთ დაცვა.

4) მდინარე რიონის რაიონს შეუძლია არა ნაკლები სამსახურის გაწევა თავდაცვითი ომის წარმოებაში და, რასაკვირველია, ასეთი თავდაცვითი ხაზის დაცვაში, ვინაიდან ეს რაიონი იკავებს მთელ იმ მთავარ გზებს, რომლებიც მიდის ზღვიდან საქართველოს ცენტრისაკენ—თბილისისაკენ.

ჩვენ რომ მდ. რიონის მთავარ შენაკადებს გავეცნოთ, იქნება შემდეგი:

მარცხენა მხრით ერთვის:	მარჯვენა მხარით ერთვის:
1. მდ. გარულა	1. საკაურა.
2. ჯოჯორა	2. ლუხუნის წყალი
3. ხარი	3. რიცეულა.
4. შარაულა	4. ლაჯანურა.
5. ლეხიდარი	5. გუბის წყალი.
6. ყვირ.-ძირულ.	6. ცხენის წყალი.
7. კორის წყალი	7. ნოგელა.
8. ყვინის წყალი	8. სულდარი.
9. სულორი	9. ტეხური-აბაშით
10. ხომური	10. წივა.
11. ხევის წყალი	

ხოლო რაც შეეხება მათ სამხედრო თვალსაზრისით მნიშვნელობას, ამის შესახებ ჩვენ შემდეგისათვის გვექნება საუბარი.

(შემდეგი იქნება).

ალ. გ—ძე.

ინსტრუქცია.

წითელ არმიელთა მეუფროსეთა შემადგენლობის და საზოგადოდ ქართულ წითელ ლაშქარში მსახურთა ოჯახების შრომის უნარ მოკლებულ წევრთა დაკმაყოფილების შესახებ, თანახმად სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის 1922 წ. აპრილის 25-ს № 3 დეკრეტისა.

1. უფროსთა შემადგენლობის და საზოგადოდ ყველა სამხედრო მსახურთა ოჯახების შრომის უნარ მოკლებულ წევრთა მიერ დეკრეტის მე-10 და მე-11 მუხლებთან შეფარდებით დახმარების მიღების უფლება უნდა იყოს დადასტურებული შემდეგნაირათ: იმ წევრთა უფლება რომელთა შესახებაც ჯარის ნაწილებში აწარმოებენ ნამსახურობის სიას, ამ უკანასკნელიდან ამონაწერით ხოლო შრომის უნარ მოკლებულ იმ წევრთა უფლება, რომელნიც არ არიან შეტანილი ნამსახურობის სიაში (დები, ძმები, ბებია, პაპა), აგრეთვე ოჯახების იმ წევრთა უფლება, რომელთაც ერთად ერთი მარჩენალი ჰყავთ და ეს წევრები არ არიან ხსენებულ სიაში შეტანილი (წითელ არმიელნი) მოწმობებით. ეს მოწმობები უნდა იქმნას გაცემული ქალაქებში ადგილობრივ მილიციის სამმართველოს მიერ (საუბნო კომისარიატი), ხოლო მაზრებში—სამაზრო და სათემო აღმასრულებელ კომიტეტის მიერ. შესაძლებელია ამ მოწმობების ნაცვლად ისეთ საბუთების წარმოდგენა, რომელთაც აქვთ მიკუთვნილი ფორმალად დამადასტურებელი მნიშვნელობა.

2 დეკრეტის მე-12 მუხლის მიხედვით შრომის უნარმოკლებულობა უნდა იყოს დადასტურებული მაზრის სამხედრო კომისარიატის მიერ მოწვეულ სამკურნალო კომისიისაგან. შემოწმებული კომისია უნდა იყოს მოწვეული მაზრის სამხედრო კომისარიატის ბინადრობის ადგილს შემდეგ შემადგენლობისა: თავმჯდომარე სამაზრო სამხედრო კომისარი, წევრები: ერთი კომისარიატის შემადგენლობიდან, ექიმი და მაზრის აღმასრულებელ კომიტეტის წევრი. თუ შრომის უნარმოკლებული სცხოვრობს მაზრის სამხედრო კომისარიატის ბინადრობის გარეშე და ვერც გამოცხადდება მაზრაში შესამოწმებლად, კომისია შესდგება: თავმჯდომარისაგან— მაზ სამხედრო კომისარის მიერ კომისარიატის შემადგენლობიდან დანიშნ-ული და წევრები: ადგილობრივ თემის ექიმი ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტის წევრი.

3. თუ ოჯახის ერთად ერთი მარჩენალი სცხოვრობს თავის ოჯახის შრომის უნარ მოკლებულნი წევრები სცხოვრობენ იმავე ადგილს, სადაც მსახურობს მარჩენალი (ერთი და იმავე ქალაქში, დაბაში და სხვა), ეს პირები უნდა ჩაირიცხონ დახმარების მისაღებად იმ ერთეულში, სადაც მსახურობს მათი მარჩენალი, ხოლო ამისათვის საჭიროა, რომ ამ უკანასკნელმა წარმოადგინოს უფროსობის მიხედვით განცხადება ამ ინსტრუქციის პირველ მუხლში აღნიშნულ საბუთების დართვით.

5. ერთეულის უფროსმა სამი დღის განმავლობაში უნდა განიხილოს წინა მუხლში აღნიშნული განცხადება და თუ ყველა საბუთების სავსებით არის წარმოდგენილი და არავითარ ეჭვს იგინი არ იწვევენ, ვალდებულია დაუყონებლივ გასცეს განკარგულება სათანადო მოთხოვნილეის სიაში შეტანის შესახებ. ხოლო თუ საბუთები აკლია ან არ არის სწორი, უნდა განუმარტოს განცხადების შემომტანს რა საბუთების წარმოდგენაა საჭირო: ამასთანავე მოვალეა თავის მხრივ აღმოუჩინოს ყოველივე დახმარება ამ მხრივ.

5. თუ ოჯახის წევრები სცხოვრობენ ცალკე ოჯახის მარჩენალისაგან, ეს წევრები ჩაირიცხონ კმაყოფის მისაღებად მაზრის სამხედრო კომისარიატში. ჩარიცხვისთვის საჭიროა წარუდგინოს მაზრის სამხედრო კომისარს განცხადება ან თვით ოჯახის მარჩენალმა ან მის ოჯახის წევრმა. განცხადებას უნდა დაერთოს ინსტრუქციის მე-3 მუხლში აღნიშნული საბუთები და აგრეთვე მოწმობა ჯარის ერთეულობისა, რომ ოჯახის მაცხოვრებელი მსახურობს იქ.

6. თუ ჯარიდან გაიპარა, დაითხოვეს და ან გარდაიცვალა ის პირი, რომლის ოჯახიც იღებს მაზრის სამხედრო კომისარიატიდან დახმარებას, ჯარის ერთეულის უფროსი მოვალეა დაუყონებლივ აცნობოს სათანადო კომისარიატს დახმარების მაცემის მოსასპობლად, თანახმად დეკრეტის მე-7 მუხლისა.

7. თუ ოჯახის მარჩენალი იქნა გადაყვანილი და მისი ოჯახის წევრები, რომელნიც იღებენ კმაყოფას ხაზინიდან, გამოიცვლიან ბინადრობის ადგილს, ჯარის ერთეულის უფროსი და მაზრის სამხედრო კომისარი აძლევენ მათ ქვემდებარობის მიხედვით სათანადო ატესტატს.

8. თუ ოჯახში რამოდენიმე პირია, რომელთაც აქვთ უფლება მიიღონ მათ ხარჯზე მყოფ ოჯახის წევრთათვის ხაზინიდან დახმარება, ეს დახმარება ეძლევა მხოლოდ ერთ ერთ პირს. მაგალითად, თუ მოხუც დედ მამას, რომელთაც აქვთ უფლება სახელმწიფოს უზრუნველყოფისა, ჰყავს ორი შვილი წითელ არმიაში, დახმარება ეძლევათ მხოლოთ ერთ ერთ შვილის სახელზე, დამოკიდებულად იმისა ერთად სცხოვრობენ თუ განცალკევებით.

9. შუამდგომლობა ყველა იმ პირებზე, რომლებიც ირიცხებიან ნაწილებში და აქვთ უფლება სახელმწიფოს უზრუნველყოფისა, აუცილებლად უნდა წარმოადგინონ სამხედრო ერთეულებმა, სამმართველოებმა, და დაწესებულებებმა (რომლისოდაც თხოვნები არ განიხილებიან) მათ მაკმაყოფილებელ ორგანოების სახელზე საჭირო საბუთების თანდართვით, რომელთა მიხედვით ზემოხსენებული ორგანო ადგენს წიგნაკს იმ პირის სახელზე რომელსაც ეძლევა უფლება დანიშნულ თვიური დახმარების მიღებისა.

10. ამ ინსტრუქციაში ნაჩვენებ მე-9 მუხლის მიხედვით დახმარების გაცემა სწარმოებს იმ სიმხედრო ნაწილის მიერ, რომლის სახელზედაც იცემა დაახლოვებითი ავანსი, რომლის დახარჯვის შესახებ სდგება ანგარიში აღნიშვნით იის, როდის, რამდენი და წიგნაკის რომელ ტალონით სწარმოებდა გაცემა. ეს ანგარიში ზემოდასახელებული განაღდებული ტალონის თანდართვით იგზავნება მუშათა და გლეხთა ინსპექციაში რევიზიისათვის საერთო წესის მიხედვით, ხოლო ახალი ანგარიშისა ოტალონით, ახალი ავანსის მოთხოვნისათვის იგზავნება მაკმაყოფილებელ დაწესებულებაში.

დედანთან სწორეა: სახალხო და სამხედრო საზღვაო საქმეთა კომისარი ჟიქია. შტაბის უფროსი გენშტაბისა გედევანიშვილი.

ნებადართულია სამხ. ცენზორისაგან.
რედაქტორი—ხ. ქურიძე.